25 F 75 ~ 3188

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 46-ე წელი. № 124 (13518) | ოთხშაბათი, 1 ივნისი, 1966 წ. | ფასი 2 კაპ.

მნიშვნელოვანი ეტაპი პოლიტიკურ სწავლებაში

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გიგანტური შემოქმედებითი მოღვაწეობა მარქსიზმ-ლენინიზმის მტკიცე საფუძველს ეყრდნობა. კომუნისტური პარტია სულ უფრო აქტიურად იყენებს ადამიანთა გონებასა და გულზე რეოლუციური თეორიის ზემოქმედების ძალას, პარტია მუდმივ გავლენას ახდენს ევთეული საბჭოთა ადამიანის მეცნიერული მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე. ზრდის ყველა მშრომელთ პარტიასა და ხალხის წინაშე მდგომი ამოცანების ღრმა გაგების სულისკვეთებით, უნარავს მათ კომუნიზმის მშენებლის ფერფას თვისებებს.

სკკპ XXIII ყრილობის მიერ მიღებულ პოლიტიკაში პარტიული ორგანიზაციების საარსებო ამოცანად მიჩნეულია პარტიის ნევრთა, განსაკუთრებით ახალგაზრდა კომუნისტთა მარქსიზმ-ლენინიზმი ფილოსოფიური, ეკონომიური მეცნიერების საკითხების გარკვეული შეუიარებლობის დაძლევას, ქმნის რეალური ეობებს თეორიის შემოქმედებითი დაულებისათვის.

ოლიტიკური განათლების ახალი სისტემის კეთილსაყოფიერი გავლენა თავს ენს ახლა, სასწავლო წლის შედეგების შეჯამებისას. დედაქალაქის ლენინის რაიონის პარტიულ ორგანიზაციებში მაღალ იდეურ დონეზე მიმდინარეობს შემაჯამებელი მეცადინეობა. ორთქლმავალ-ვაგონშენ[illegible]ის ქარხნის პარტიულ კომიტეტში (მდივანი ზ. გილაური) გაიმართა პროპაგანდისტთა თათბირი. აქ პროპაგანდისტებმა, საამქროთა პარტიული ორგანიზაციის მდივნებმა ერთხელ კიდევ გაუსვეს ხაზი სასწავლო წლის მანძილზე შეძენილ დადებით გამოცდილებას. ყურადღება გაამახვილეს ნაკლოვანებებზე და დასახეს ღონისძიებანი ახალი სასწავლო წლისათვის. მოწინავე პროპაგანდისტები დაჯილდოებულ იქნენ ფასიანი საჩუქრებით და საპატიო სიგელით.

საკალაქო პარტიული ორგანიზაციებიდან მიღებული მასალები ცხადყოფენ, რომ მიმდინარე სასწავლო წელს დაწყებითი პოლიტსკოლები, მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების სკოლები, პარტიულ-სამეურნეო აქტივის სკოლები, მარქსიზმ-ლენინიზმის უნივერსიტეტები და სხვადასხვა სემინარები შეიქმნა წინა წლებისაგან განსხვავებით უფრო ორგანიზებულად, კომუნისტთა სურვილებისა და ინტერესების გათვალისწინებით. და ეს უდავოდ დადებით გავლენას ახდენს მეცადინეობის იდეურ-თეორიულ დონეზე.

მაგრამ არ შეიძლება გვერდი ავუაროთ ნაკლოვანებებსაც. ზოგან ცალმხრივად მიუდგენენ პარტიულ სწავლებას და ძირითადი ყურადღება გადაიტანეს მხოლოდ ორგანიზაციულ მხარეზე. პოლიტიკური სწავლებაში კი ყველაზე მთავარია **IDEURI DONE.** მსმენელთა დასწრებას, მეცადინეობას მხოლოდ მაშინ აქვს აზრი, როცა მას თან ახლავს მარქსისტულ-ლენინური თეორიის პრობლემებისა და კომუნიზმის მშენებლობის ყოველდღიური პრაქტიკის შემოქმედებითი განხილვა. ამიტომ საჭირო იქნება შემაჯამებელ მეცადინეობებზე განსაკუთრებული ყურადღება გავამახვილოთ **SWORED IDEURI MXARZE. SEITVISEBIS DONEZE:** მსმენელებს უნდა მოვთხოვოთ თეორიული ცოდნა და არა უმნიშვნელო ფაქტების. თარიღებისა და ციტატების გაზეპირება.

შემაჯამებელი მეცადინეობის აზრი ის არის, რომ დაეხმაროს მსმენელებს შეხვალილი მასალის სისტემატიზაციასა და ღრმად გაჯერებაში. შეძენილი ცოდნა მტკიცედ დაუკავშიროს სკკპ XXIII ყრილობის თეორიულ დასკვნებსა და დებულებს. უდავოდ კარგი, როცა პარტიული განათლების უმაღლეს რგოლში შემაჯამებელ მეცადინეობაზე შესწავლილიდან ერთ-ერთი თემა გამოაქვთ ყრილობის მასალებთან დაკავშირებით, ასევე დაწყებითის და საშუალო რგოლში—თემა: „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი როლის ზრდა კომუნისტურ მშენებლობაში“.

ახლა მთავარი ამოცანა ის არის, რომ ორგანიზებულად, მაღალ იდეურ დონეზე დავამთავროთ სასწავლო წელი, გავამტკიცოთ მოპოვებული წარმატებები და დავსახოთ მომავალი სასწავლო წლისათვის პარტიული განათლების შემდგომი სრულყოფის გზები. პარტიის სასოფლო რაიკომებმა მაქსიმალურად უნდა გამოიყენონ დარჩენილი დრო, გულდასმით მოიფიქრონ მეცადინეობის თემები, საკვანძო საკითხები განხილვისათვის. კარგი იქნება კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სასოფლო-სამეურნეო სხვა ორგანოების პარტიულ ორგანიზაციებში გამართულ შემაჯამებელ მეცადინეობაზე კომუნისტების უურადღება გავამახვილოთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ამ დღეებში გამართული პლენუმის გადაწყვეტილებებზე და მათგან გამომდინარე ჩვენს კონკრეტულ ამოცანებზე.

პარტიული მუშაობის გამოცდილების პრაქტიკამ გვიჩვენა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სასწავლო წლის შედეგების განხილვას პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში, პარტიული კომიტეტების ბიუროების სხდომებზე. წელს ეს განხილვა უნდა მოვაწყოთ სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებებისა და დოკუმენტების ღრმად შესწავლის ნიშნით. აქვე უნდა შევიმუშაოთ მთელი ზაფხულის პერიოდისათვის პარტიული პროპაგანდის მოწყობის, ახალი სასწავლო წლისათვის მზადების გეგმები.

მასებში პარტიის ყრილობის გადაწყვეტილებათა აქტიური პროპაგანდად და განმარტება თვითეული კომუნისტის, ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო. პროფკავშირული და კომკავშირული მუშაკის პირდაპირი მოვალეობაა. აუცილებელია ამ საქმეში ფართოდ ჩავაბოთ ქალაქისა და სოფლის ინტელიგენცია: მეცნიერები. მასწავლებლები, შემოქმედებითი მუშაკები, სპეციალისტები. ფართოდ უნდა გამოვიყენოთ პარტიული პროპაგანდის ისეთი ქმედითი საშუალებები, როგორიც არის ელექტროიუმები, კინოლექტორიუმები, კითხვა-პასუხის საღამოები.

პარტიის პროპაგანდისტები მიჩნეია თავის **OJAROS ZONEDAD.** ამიტომ პირველად პარტიული ორგანიზაციები, პარტიის რაიონული, საქალაქო და საოლქო კომიტეტები მოვალენი არიან. ყოველდღიურად იზრუნონ მისი ზრდისა და მოფიქრებულად გამოყენებისათვის. ჯერ კიდევ გვაკლია ისეთი კვალიფიციური პროპაგანდისტები. რომლებსაც აქვთ თეორიული ცოდნაც და მეთოდური ოსტატობაც. საჭიროა იქნება აქედანვე შევარჩიოთ პროპაგანდისტთა ახალი კადრები და მოვაწყოთ მათი გადამზადება.

შევაჯამოთ და ვემზადოთ! ეს არის დღის ყველაზე მთავარი და ყველაზე მნიშვნელოვანი კომუნისტების პოლიტიკურ სწავლებაში. მარქსისტულ-ლენინური განათლება ავიყვანოთ ახალი ამოცანების დონეზე, დავრაზმოთ კომუნისტები და ყველა მშრომელი ხუთწლიანი გეგმის განხორციელებისათვის.

დეპუტატობის კანდიდატები

შრომა დაუფასებელი

მარიამ ლამარა დეკანოსიძე [illegible] მარა დეკანოსიძეს. [illegible] ეი შრომის ფერხულშია ჩაბმული. 1958 წელს თვრამეტი წლის ქალიშვილმა წარმატებით დამთავრა საჩხერის პირველი საშუალო სკოლა. ლამარას ბავშვობიდანვე იზიდავდა მკერავობა. სად არ უნდა დაეწყალათ უფროსებს მაკრატელი და ნემსი, რომ მას არ მიეგნო. სადმე იმოვნიდა ნაჭერს და კერავდა თოჯინისათვის ათასნაირ კაბებს. ეს ბავშვობის ტკბილად მოსაგონარი წლები იყო, როცა ტოლებთან ერთად მოდინახეს ციხის ჭონგურებთან თამაშობდა.

აი ლამარა დეკანოსიძე თბილისის № 1 სამკერვალო ფაბრიკაში მიიღეს. გამოცდილი სახელმოხვეჭილი ოსტატები ასწავლიდნენ, და პროფესიას შესანიშნავად დაეუფლა. მას ფაბრიკაში იცნობენ როგორც თავმდაბალ და შრომისმოყვარე ადამიანს. მისი ნახელავი ქალის პალტოები, ქალისა და გოგონას კაბები საყოველთაო მოწონებით სარგებლობს. არ ყოფილა შემთხვევა, რომ ლამარა დეკანოსიძეს წუნდებული პროდუქცია გამოეშვას, გეგმას ყოველთვიურად გადატარებებით— 130-150 პროცენტით ასრულებს. მისი ნახელავი მხოლოდ პირველი ხარისხისაა.

კკითხეთ ლამარა დეკანოსიძის შესახებ მისი ბრიგადის ყოფილ ხელმძღვანელს სახელგანთქმულ ოსტატს პოლინა ბოგდანოვას ანდა ბრიგადის ამჟამინდელ ხელმძღვანელს ოფელია ტურაშვილს. ისინი და ფაბრიკის მთელი კოლექტივი სიყვარულით, პატივისცემითა და ქებით ლაპარაკობენ ლამარაზე.

შრომამ დაფასება და სახელის მოხვეჭა იცის. ამიტომ იყო, რომ ლამარა დეკანოსიძემ კომუნისტური შრომის დამკვრელის სახელწოდება დაიმსახურა. მარშან კი ლამარას ქალაქ თბილისის საუკეთესო მკერავის წოდება მიანიჭეს.

ლამარა დეკანოსიძე საწარმოო შრომას წარმატებით ათავსებს საზოგადოებრივ მუშაობასთან. იგი ფაბრიკის პარტიულოს წევრი, ფაბრიკის კომკავშირის კომიტეტის მდივნის მოადგილე და საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრია. არჩეულია საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის წევრად.

ამ დღეებში სხვა სიხარულს კიდევ ერთი სიხარული მოემატა. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ლამარა ერემიას ასული დეკანოსიძე შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოდეს. მისმა ამხანაგებმა, მთელი ფაბრიკის კოლექტივმა იგი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასასახელეს.

• • •

სურათზე ლამარა დეკანოსიძე.
ფოტო შ. ჩხეტიანისა.

წინასაარჩევნო ვახტზე — შრომითი ნობათები

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაჩაღებით **მახარაძის** რაიონის მწარმოებლებმა 25 მაისისათვის გადაჭარბებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის. პროდუქტების მიყიდვის ნახევარი წლის გეგმები, — აცნობეს რედაქციას პარტიის მახარაძის რაიკომის პირველმა მდივანმა **ალ. თოიძემ,** რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ **ბ. გობრონიძემ,** სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა **ვ. ჯაველმა.**

მახარაძელებმა სახელმწიფოს მიჰყიდეს 2.380 ცენტნერი ხორცი ნაცვლად 1.710 ცენტნერისა, 7.390 ცენტნერი რძე ნაცვლად 7.310 ცენტნერისა. სახელმწიფოს მიეყიდა 445 ათასი კვერცხი, ხოლო ნახევარი წლის გეგმა 385 ათასი ცალის მიყიდვას ითვალისწინებდა.

ჩოხატაურის რაიონის მეცხოველეები ახალი წარმატებებით ხვდებიან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებს. ჩოხატაურელებმა სახელმწიფოს მიჰყიდეს 402.745 ცალი კვერცხი ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 360.000 ცალისა. სახელმწიფოს მიეყიდა 1.477 ცენტნერი ხორცი ნაცვლად ნახევარი წლის გეგმით გათვალისწინებული 913 ცენტნერისა, 3.683 ცენტნერი რძე ნაცვლად 3.660 ცენტნერისა. ამ წარმატებათა შესახებ რედაქციას აცნობეს პარტიის ჩოხატაურის რაიკომის მეორე მდივანმა ამხ. ტ. ჩიჩიბაძემ, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ზ. ბაბალაძემ, სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა ბ. დოლიძემ.

სახელმწიფოსათვის გეგმიდ გადამეტებით მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვა გრძელდება.

საქართველოს კპ ზესტაფონის რაიკომის პირველმა მდივანმა **შ. ვერულაშვილმა** ოედაქციას აცნობა, რომ ზესტაფონელმა მშრომელებმა წინასაარჩევნო სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულება წარმატებით გაანაღდეს. 25 მაისისათვის სახელმწიფოს მიეყიდა 1.471 ცენტნერი ხორცი. ნაცვლად ნახევარი წლის გეგმით გათვალისწინებული 1.360 ცენტნერისა, 4.090 ცენტნერი რძე ნაცვლად 4.050 ცენტნერისა, 271.200 ცალი კვერცხი ნაცვლად 125 ათასი ცალისა.

ნახევარი წლის გეგმა—ვადამდე

ტყიბულელმა მეჩაიეებმა მოკრიფეს 2.190 ტონა ჩაის

ფოთოლი ნაცვლად 2.175 ტონისა

ხუთწლედის პირველ წელს სერიოზული ღონისძიებები განხორციელდა ჩაის მოსავლიანობის გადიდებისათვის, თვითეულ პექტარზე მეტი ნედლეულის მიღებისათვის, — განაცხადა **„კომუნისტის“** კორესპონდენტთან საუბარში ტყიბულის სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა **ბ. ჭელიშვილმა.** ტყიბულელმა მეჩაიეებმა სასახელოდ შეასრულეს ნაკისრი ვალდებულება — ჩაის კრეფის აპრილ-ივნისის [illegible] ... ტონა ჩაის ნედლეული ნაცვლად აპრილ-ივნისის გეგმით გათვალისწინებული 2.175 ტონისა. აღსანიშნავია, რომ დიდად გაუმჯობესდა კრეფის ხარისხობრივი მაჩვენებლები. მოკრეფილი ნედლეულის 99 პროცენტი პირველი ხარისხისაა.

ახლა ჩაის ბუჩქების ვეგეტაცია კარგია. ამიხდიც ხელსაყრელია. მეჩაიეთა ერთსულოვანი გადაწყვეტილებაა ივნისში შეასრულონ წლიური გეგმის 70 პროცენტი, შეუნელებელი ყურადღება დაუთმონ ნედლეულის ხარისხობრივ მაჩვენებლების ზრდაციდ დაცვას და სამშობლოს წლიური გეგმის გადამეტებით მისცენ ტონობით არომატული ქართული ჩაი.

საუბარი ტყიბულის სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსთან

ბ. ჭელიშვილთან

ბ. ჭელიშვილმა. ტყიბულელმა მეჩაიეებმა სასახელოდ შეასრულეს ნაკისრი ვალდებულება — ჩაის კრეფის აპრილ-ივნისის გეგმა 29 მაისისათვის განაღდებულია 100,6 პროცენტით.

ტყიბულელებმა მოკრიფეს და მრეწველობას ჩაბარეს 2.190 ტონა ჩაის ნედლეული ნაცვლად აპრილ-ივნისის გეგმით გათვალისწინებული 2.175 ტონისა. აღსანიშნავია, რომ

ნ. ვ. პოდგორნიმ მიიღო კუბის ელჩი

30 მაისს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ნ. ვ. პოდგორნიმ კრემლში მიიღო კუბის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საბჭოთა კავშირში კარლოს ოლივარეს სანჩესი მისივე თხოვნით და გულთბილი, მეგობრული საუბარი ჰქონდა მასთან. (საკდესი).

ვ. პ. მჟავანაძე ეწვია კიბერნეტიკის ინსტიტუტს

31 მაისს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ვ. პ. მჟავანაძე ეწვია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კიბერნეტიკის ინსტიტუტს. ამ სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულების კოლექტივმა ქარხანა „ელექტროავტომატთან“ ერთად იგი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელეა.

რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის კიბერნეტიკის ინსტიტუტი ამ პროფილის ერთ-ერთი პირველი სამეცნიერო დაწესებულებაა საბჭოთა კავშირში. ინსტიტუტის ახალგაზრდა კადრები საინტერესო მეცნიერულ-კვლევითს მუშაობას ეწევიან თანამედროვე კიბერნეტიკის აქტუალურ პრობლემებზე. ამ მუშაობას აქვს არა მარტო თეორიული, არამედ დიდი პრაქტიკული მნიშვნელობაც.

ვ. პ. მჟავანაძემ დათვალიერა ინსტიტუტის თანამშრომელთა ნამუშევრების გამოფენა. გამოფენაზე წარმოდგენილია ხელსაწყოები და მოწყობილობანი, რომელთაგან ბევრი პირველად საბჭოთა კავშირში შეიქმნა და დამზადდა. ექსპონირებულია ასზე მეტი საავტორო მოწმობა, რომელებიც ქართველი კიბერნეტიკოსებმა მიიღეს.

ვ. პ. მჟავანაძე იყო აგრეთვე ინსტიტუტის ლაბორატორიებში, სადაც დიდი მეცნიერულ-კვლევითი მუშაობა წარმოებს. ახსნა-განმარტებას იძლეოდა ინსტიტუტის დირექტორი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი ვ. ჭავჭანიძე.

სხდომათა დარბაზში გაიმართა ვ. პ. მჟავანაძის შეხვედრა ინსტიტუტის მუშაკებთან. შეხვედრა გახსნა კიბერნეტიკის ინსტიტუტის პარტიული ბიუროს მდივანმა ბ. მახვგალაძემ.

ინსტიტუტის დირექტორი ვ. ჭავჭანიძე ყველა თანამშრომელთა სახელით მხურვალედ მიესალმა ვ. პ. მჟავანაძეს, რომლის კანდიდატურა ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში ერთსულოვნად იქნა დასახელებული კოლექტივის საერთო კრებაზე.

— დარწმუნებული ვართ, — თქვა ვ. ჭავჭანიძემ, — რომ ვასილ პავლეს-ძე მჟავანაძე — ნაცადი კომუნისტი, ერთგული ლენინელი, როგორც ყოველთვის, კვლავაც გაამართლებს ხალხის დიდ ნდობას.

შეხვედრაზე სიტყვები წარმოთქვეს ინსტიტუტის სწავლულმა მდივანმა გ. ხიმონიძემ, უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატმა ა. ტორონჯაძემ, ინსტიტუტის კომკავშირელებისა და ახალგაზრდობის სახელით — ა. ნადირაშვილმა.

ვ. პ. მჟავანაძე შეკრებილთ ესაუბრა იმ დიდ ცვლილებებზე, რომელიც ჩვენს ქვეყანაში მოხდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის (1964 წ.) და მომდევნო პლენუმების შემდეგ. გრანდიოზულ პერსპექტივებსა და ამოცანებზე, რომელიც დასახულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობის გადაწყვეტილებებში.

ვ. პ. მჟავანაძემ მხურვალე მადლობა გადაუხადა ინსტიტუტის კოლექტივს ნდობისათვის — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელებისათვის — და შეკრებილთ აღუთქვა, რომ კვლავაც მთელ თავის ძალღონეს მოახმარს პარტიისა და ხალხის სამსახურს.

ვ. პ. მჟავანაძესთან ერთად რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის კიბერნეტიკის ინსტიტუტს ეწვია საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის პირველი მდივანი **ო. ი. ოლოლაშვილი.** (საკდესი).

მოსავალი ავიღოთ თორმეტ სამუშაო დღეში!

სიღნაღის რაიონის სოფელ ტიბაანის კოლმეურნეობის კომბაინერის გივი ლათიბაშვილის მიმართვა

საქართველოს ყველა კომბაინერისადმი

ძვირფასო ამხანაგებო! ჩემო თანამოსაქმენო!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობამ და სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმმა სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის მძლავრი, ცხოველმყოფელი ღონისძიებები დასახა. საკოლმეურნეო სოფელში ყრილობის გადაწყვეტილებათა განუხრელად შესასრულებლად მძლავრი შემოქმედებითი შრომა გაჩაღდა.

ალაზნის ველზე, შირაქში თუ სხვაგან მოსავალს კარგი პირი უჩანს. ხორბალი სიმწიფეში შევიდა. ჩვენთან ქერის ყანები უკვე გაიკრა. ველის ხომალდები განუწყვეტლივ გუგუნებენ.

ახლა მთავარია მოსავლის სწრაფად და უდანაკარგოდ აღება. მხვნელ-მთესველებს, მექანიზატორებს კარგად ესმით, რომ მოსავლის აღება სეზონური საქმეა. მკის დაჩქარება მარცვლეულს ამრავლებს, დაგვიანება ამცირებს. მოსავალი ის კი არ არის, რაც მინდორშია, არამედ ის, რაც ბეღელშია.

ავწონ-დავწონე შესაძლებლობანი და გადავწყვიტე მოგმართოთ თქვენ, რათა ჩავებათ. სოციალისტურ შეჯიბრებაში და მოსავლის აღება დავამთავროთ თორმეტ სამუშაო დღეში.

ჩემი მხრივ ვკისრულობ შემდეგ ვალდებულებებს:

„სკ-4“ მარკის თვითმავალი კომბაინით გეგმით გათვალისწინებული 120 ჰექტარის ნაცვლად 12 სამუშაო დღეში მოვმკი 220 ჰექტარს. ყოველდღიურად გავლეკავ 330-340 ცენტნერ მარცვალს; არ დავშვებ მოსავლის დანაკარგს; დავზოგავ საწვავ-საცხებელ მასალეგის 10 პროცენტს; კურეულის მკას ვაწარმოებ დაბლა, ძირზე; შარშანდელთან შედარებით 12 პროცენტით შევამცირებ ცენტნერი მარცვლის გალეწვის თვითღირებულებას.

ახალი სასახელო წარმატებებით გავაზარეთ ჩვენი დიდი სამშობლო!

გივი ლათიბაშვილი,
სიღნაღის რაიონის სოფელ ტიბაანის კოლმეურნეობის კომბაინერი.

საშვილიშვილო საქმე

ჩვენი სასისტემო სამმართველოს მუშაკები გულდასმით გაეცნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებებს, რომლებითაც გრანდიოზული ამოცანებია დასახული მელიორაციისა და სარწყავი მიწების ათვისების დარგში.

ალხიდის ზონაში დაშრობილმა ფართობებმა 90 ათას ჰექტარს უნდა მიაღწიოს ხუთწლედის ბოლოსათვის. ეს სერიოზული ამოცანების წინაშე აყენებს კოლხიდის ზონაში განლაგებულ სამეცნიერო, სამეურნეო ორგანიზაციებს და წყალთა მეურნეობის მუშაკებს.

მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის ზუგდიდის სამმართველოს მომსახურების კოლხიდის ზონაში დაჭაობებულ მიწებს 85 ათასი ჰექტარი უჭირავს, საიდანაც დაშრობილია 30 ათასი ჰექტარი, ანუ 35 პროცენტი. კოლხიდის დაბლობზე განლაგებულია ხობისა და ზუგდიდის რაიონების 20 კოლმეურნეობა და 8 საბჭოთა მეურნეობა, რომლებმაც უკვე აითვისეს 19 ათასი ჰექტარი.

კოლხიდის დაშრობითი სამუშაოების ფართო მასშტაბით შესრულება განაპირობა სამელიორაციო მექანიზებული სამმართველოების შექმნამ. ისინი უზრუნველყოფილი არიან მიწისმსრესელი მექანიზმებით და საკუთარ ტექნიკით. ჩვენი მომსახურების ზონაში სამელიორაციო სამუშაოები მიმდინარე ხუთწლედში 5 ათასი ჰექტარით უნდა გადიდდეს ხობის რაიონის თორსადღვაბისა და ზუგდიდის რაიონის უტარამაგირის მასივებზე.

არსებული დამშრობი სისტემის რეკონსტრუქცია და ახლის მშენებლობა შექმნის საქართველოს ყამირის — კოლხეთის მიწების ფიდი ფრენ ბეგლარის ათვისების შესაძლებლობას. აქ მომავალში განვითარდება სუბტროპიკული კულტურები, მებოსტნეობა და მეცხოველეობა.

წყალთა მეურნეობის მუშაკები თავიანთ ცოდნასა და ენერგიას მოახმარენ სკკპ XXIII ყრილობის დირექტივებით და პარტიის ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებებით გათვალისწინებული გეგმების სასახელოდ შესრულებას.

მ. ბალიშვილი.
წყალთა მეურნეობის ზუგდიდის სასისტემო სამმართველოს უფროსი.

მელიორაცია უნვი მოსავლის საფინდარია

მომავალში უფრო მეტი

ჩვენი სოფლის მშრომელები ერთსულოვნად იწონებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებებს და ენერგიის დაუზოგავად იბრძვიან პლენუმის დადგენილების შესრულების საქმეში საპატიო წესლის შესატანად.

საბჭოთა მეურნეობაა ვენახების საკმაო ნაწილი სარწყავია. შარშან ურწყავ ვენახებთან შედარებით სარწყავში ჰექტარზე 20 ცენტნერით მეტი ყურძენი მივიღეთ. მიმდინარე წელს უფრო მეტ ფართობს მოვარწყავთ და ამით მოსავლიანობაც იმატებს. შემდეგ კი, როცა ზემო ალაზნის არხის მშენებლობა დამთავრდება, ვენახები მთლიანად სარწყავში მოექცევა და, ცხადია, ხვავი და ბარაქა იმატებს.

მ. იაშვილი.
გურჯაანის რაიონის მუკუზნის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი.

ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის XIII ყრილობა

[illegible] 31 მაისი. [illegible] დელეგაციის კორესპონდენტი ტ. მარტინოვი და ი. მასლენიკოვი [illegible] ეფუძვნებიან, რომ დღეს პრაღაში გაიხსნა ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის XIII ყრილობა. იგი განიხილავს ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო-სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებებს. ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური საზოგადოების ეკონომიკურ-ორგანიზაციული ... ებებს შორის პერიოდში პარტიის საქმიანობის უმნიშვნელოვანეს საკითხებს. [illegible] ... ლობა აირჩევს აგრეთვე პარტიის ცენტრალურ ორგანოებს.

ყრილობის მუშაობაში მონაწილეობას [illegible]00 დელეგატი, რომლებიც 1.700 ათასი [illegible]ენელ კომუნისტურ ... ლობაზე ჩამოვიდნენ კომუნისტური, [illegible]ათა, ეროვნულ-დემოკრატიული და [illegible]ბრძენენ სოციალისტური პარტიების [illegible]ელეგაციები. საბჭოთა კავშირის კომუ[illegible]ური პარტიის დელეგაციას მეთაუ[illegible]ებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენ[illegible]ალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი.

[illegible]ყრილობა მოკლე შესავალი სიტყვით [illegible]ბნა ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური [illegible]ტიის ცენტრალური კომიტეტის პირ[illegible]ემა მდივანმა ა. ნოვოტნიმ.

[illegible]ბან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური საზოგადოების განვითარების დიდმნიშვნელოვან საკითხებსა და ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის საქმიანობას XII და XIII ყრილობებს. შორის პერიოდში, განსაზღვრავენ პარტიის პოლიტიკის მთავარ მიმართულებებსა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების **1966-1970** წლების მეოთხე ხუთწლიანი გეგმის ძირითად ამოცანებს, მიიღებენ ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის წესდების ზოგიერთ ცვლილებას.

შემდეგ ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის XIII ყრილობაზე ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება გააკეთა ა. **ნოვოტნიმ.**

ხიამაყით აღვნიშნავთ იმ დიდი მუშაობის შედეგებს. რაც გაწეულია სოციალიზმის გამარჯვებისა და ჩეხოსლოვაკიელი ხალხის მშვიდობიანი ცხოვრებისათვის, თქვა ამბ. ა. ნოვოტნიმ. ჩვენი პარტიის XIII ყრილობა შეჯამება მაღე ხაბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობის შემდეგ. რომლის შემოქმედებითი გამოცდილება შეგვიძლია გამოვიყენოთ ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის მუშაობაში.

შემდეგ მომხსენებელი შეეხო ჩეხოსლოვაკიის ეკონომიური განვითარების პრობლემებს. დაახასიათა სახალხო მეურნეობის განვითარების ახალი ხუთწლიანი გეგმის ძირითადი ამოცანები.

ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკა, განაცხადა შემდეგ ა. ნოვოტნიმ, სოციალიზმის ქვეყნების მსოფლიო თანამგზრობის განუყოფელი შემადგენელი ნაწილი და ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს აქტიური წევრია. ჩვენი რესპუბლიკის საგარეო ეკონომიური და სამეცნიერო-ტექნიკური ურთიერთობის მთავარი დასაყრდენი იყო და იქნება ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან, რასაც ჩვენ კვლავაც ყოველმხრივ განვავითარებთ.

მომხსენებელმა ილაპარაკა ჩეხოსლოვაკიის თავდაცვითი ძლიერების განმტკიცებაზე და ხაზი გაუსვა, რომ ამ პრობლემას ჩეხოსლოვაკიის კომუნისტები უკავშირებენ ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე ყველა ქვეყნის ერთობის განმტკიცებას, მაგი თავდაცვითი პოტენციალისა და საბჭოთა კავშირთან მჭიდრო თანამშრომლობის განმტკიცებას.

ა. ნოვოტნიმ აღნიშნა, თუ რა დიდ როლს ასრულებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ... ბრძოლაში და თქვა: სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრინციპული პოზიცია კომუნისტური მოძრაობის პრობლემებში, როგორ ... ერთობისათვის [illegible] ... ბრძოლაში და თქვა: სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრინციპული პოზიცია კომუნისტური მოძრაობის პრობლემებში, როგორ ... ერთობისათვის [illegible] ... ბრძოლაში და თქვა: სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრინციპული პოზიცია კომუნისტური მოძრაობის პრობლემებში, [illegible]

ყველაზე პასუხსაგები პერიოდი

პრეს-კონფერენცია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში

მოსკოვი, 31 მაისი. (საკდესი). დღეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში გაიმართა პრეს-კონფერენცია. მოხსენება, თუ როგორ მიმდინარეობს სსრ კავშირის მეშვიდე მოწვევის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადება, გააკეთა ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ვ. ვ. გრიშინმა.

— ქალაქისა და სოფლის მშრომელები, — თქვა მან, — ცდილობენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებს შეხვდნენ ახალი წარმატებებით სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, საწარმოთა და დაწესებულებათა მუშაკები, მოსახლეობა მხურვალედ გამოეხმაურა ყველა ამომრჩეველისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვის გულშიჩამწვდომ სიტყვებს. ამ მიმართვაში ჩამოყალიბებულია პროგრამა, რომლითაც ჩვენი პარტია ეგებება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებს. ეს პროგრამა სავსებით შეესაბამება მშრომელთა ინტერესებს და მას ერთსულოვნად უჭერს მხარს ყველა საბჭოთა ადამიანი.

ახლა იწყება საარჩევნო კამპანიის ყველაზე დიდმნიშვნელოვანი და პასუხსაგები პერიოდი — ახლოვდება არჩევნების დღე. დამთავრდა დიდი მოსამზადებელი მუშაობა. არჩევნების დებულებით დადგენილ ვადებში შეიქმნა საოლქო (1517) და საუბნო (161.357) საარჩევნო კომისიები. გამოცემულია საცნობარო საარჩევნო ლიტერატურა. დიდი მუშაობაა გაწეული საარჩევნო უბნების მოწყობისა და საჭირო საარჩევნო დოკუმენტებით საუბნო კომისიების უზრუნველყოფისათვის. ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებმა ყველგან შეადგინეს და 12 მაისიდან საყოველთაო გაცნობისათვის გამოაკრეს ამომრჩეველთა სიები. ახლა წარმოდეს სიების შემოწმება და დაზუსტება.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების სრული შესაბამისობით დასახელებული და რეგისტრაციაში გატარებული არიან დეპუტატობის კანდიდატები. ათი ათასობით მშრომელი გამოვიდა საწარმოთა, კოლმეურნეობათა, დაწესებულებათა და ჯარის ნაწილთა კოლექტივების საერთო კრებებზე და მონაწილეობა მიიღო დასახელებული კანდიდატურების განხილვაში.

დასახელებული კანდიდატურების განხილვა გრძელდებოდა მშრომელთა წარმომადგენლების საოლქო წინასაარჩევნო თათბირებზე, რომლებიც მოუწოდებდნენ ამომრჩევლებს მხარი დაუჭირონ დასახელებულ კანდიდატებს. ახლა იმართება ამომრჩეველთა შეხვედრები სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებთან. ეს შეხვედრები საბჭოთა ხალხის ერთობის, კომუნისტთა და უპარტიოთა ბლოკის სიმტკიცის მკაფიო დემონსტრაციაა.

საარჩევნო კანონის შესაბამისად ცენტრალური საარჩევნო კომისია საბჭოთა კავშირის მთელ ტერიტორიაზე ადევნებს თვალყურს იმას, რომ განუხრელად დაიცვან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულება. იგი მუშაობაში ეხმარება რესპუბლიკურ, საოლქო და საუბნო კომისიებს.

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ განიხილა ყველა საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიის ტელეფონისა და ტელეგრაფის კავშირით უზრუნველყოფის საკითხები. ამ საქმეში არის ნაკლოვანებანი. ყველა საარჩევნო კომისიას როდი აქვს კავშირგაბმულობის საშუალებანი. ჩვენ სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტროს ყურადღება მივაქციეთ იმას, რომ არჩევნებისათვის მზადების პერიოდში და არჩევნების დღეს უზრუნველყოფილი უნდა იყოს შეუფერხებელი კავშირგაბმულობა.

ახლა, აღნიშნა ვ. ვ. გრიშინმა, უკვე გადაწყვეტილია ყველა პრაქტიკული საკითხი, რომელიც ეხება არჩევნების მოწყობას მატარებლებში, საზღვაო და სამდინარო გემებზე. სამეცნიერო ექსპედიციებში, გეოლოგიურ და საძიებო პარტიებში, არქტიკისა და ანტარქტიკის პოლარულ სადგურებში. მგზავრობის დროს ხმას მისცემენ შორი მიმოსვლის 544 მატარებლის მგზავრები. საარჩევნო უბნები ეწყობა 93 აეროპორტში, ბევრ რკინიგზის სადგურში, სამდინარო და საზღვაო ნავსადგურებში, საზღვაო, სამდინარო და თევზსაჭერი ფლოტის გემებზე, რომლებიც არჩევნების დღეს ნოსსობაში იქნებიან, აგრეთვე პოლარულ სადგურებსა და საზამთრისებში განხორციელდა საჭირო ღონისძიებანი იმისათვის, რომ საბჭოთა მოქალაქეებს, რომლებიც გზაში და სხვადასხვა ექსპედიციაში იქნებიან, მიეცეთ არჩევნებში მონაწილეობის შესაძლებლობა.

წლევანდელ არჩევნებს თავისებურებანი ახასიათებს. არჩევნები ეწყობა ზაფხულში, როცა ბევრი ამომრჩეველი მიდის შვებულებაში, კურორტებზე, სანატორიუმებში, აგარაკზე, ან გზაში იმყოფება. დასვენების დღეს ზაფხულში მშრომელები მიიღან ქალაქგარეთ, ტურისტულ ლაშქრობებში. ამ პერიოდში ფართოდდება გეოლოგიური, საძიებო, სადაზვერვო პარტიების, სამეცნიერო ექსპედიციების ქსელი. არჩევნების დღეს კენჭისყრა მთავრდება არა ღამის 12 საათზე, როგორც ეს წინათ იყო, არამედ საღამოს 10 საათზე.

არჩევნებისათვის მზადების გაცნობამ ადგილებზე ცხადყო, რომ ზოგიერთი ადგილობრივი ორგანო და საარჩევნო კომისია ეყრდნობა წინა არჩევნების გამოცდილებას და მთლიანად ვერ ითვალისწინებს ამ თავისებურებებს. სათანადო მუშაობა არ ხორციელდება, რათა ამომრჩევლებს გააცნონ ხმის მიცემის წესი, დრო და ადგილი. არის შემთხვევები, როცა ცალკეული ამომრჩევლები ისე მიდიან შვებულებასა თუ მივლინებაში, რომ არ იღებენ ხმის მიცემის უფლების მოწმობებს.

ყველა საარჩევნო კომისიის ამოცანაა, — ხაზგასმით აღნიშნა ვ. ვ. გრიშინმა, — სსრ კავშირის ყველა მოქალაქისათვის უზრუნველყონ შესაძლებლობა განახორციელოს თავისი საარჩევნო უფლებები. ამიტომ მეტად საჭიროა ამომრჩეველთა სიების საგულდაგულოდ შემოწმება, რათა ყოველი ამომრჩეველი, რომელიც მოცემული საბჭოს ტერიტორიაზე ცხოვრობს, შეტანილ იქნეს სიაში, ხოლო მათ, ვინც დასასვენებლად ან მივლინებაში მიდის, მშრომელთა დეპუტატების საბჭოში აიღონ ხმის მიცემის უფლების მოწმობა.

იმ უბნების საარჩევნო კომისიებმა, რომლებიც განლაგებულია მშრომელთა დასვენების ადგილებში, უირიმის, კავკასიის, ბალტიისპირეთის საკურორტო ზონებში, დიდი ქალაქების გარეუბნებში, უნდა განახორციელონ ღონისძიებანი, რათა უზრუნველყონ ამ პერიოდში მათ ტერიტორიაზე მყოფი ყველა ამომრჩევლის მონაწილეობა კენჭისყრაში. ამისათვის რეზერვში უნდა იქონიონ საკმაო რაოდენობით საარჩევნო ბიულეტენი და იმ ამომრჩეველთა სიის ბლანკები, რომლებიც მოწმობით აძლევენ ხმას.

ყველა საარჩევნო კომისია, აქტივისტები ვალდებული არიან შეატყობინონ მოსახლეობას კენჭისყრის ადგილი და დრო. ყველა ამომრჩეველმა კარგად უნდა იცოდეს სად აძლევს ხმას. ამომრჩევლებს აგრეთვე უნდა ვაცნობოთ კენჭისყრის დაწყების დრო — (12 ივნისის დილის 6 საათი) და კენჭისყრის დამთავრების დრო — (საღამოს 10 საათი). ყველა ამომრჩეველს კარგად უნდა განვუმარტოთ, რომ ძირითად საცხოვრებელ ადგილიდან წასვლისას (შვებულება, მივლინება და სხვა) მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივ საბჭოში უნდა აიღონ ხმის მიცემის უფლების მოწმობა.

ცენტრალური საარჩევნო კომისია, თქვა დასასრულ ვ. ვ. გრიშინმა, მოუწოდებს ყველა ამომრჩეველს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დღეს მივდნენ საარჩევნო უბნებში და მოიხადონ თავიანთი მოქალაქეობრივი ვალი — მონაწილეობა მიიღონ საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს არჩევნებში.

ვ. ვ. გრიშინმა უპასუხა კორესპონდენტთა კითხვებზე.

როგორ უნდა მოვიქცეთ, თუ ამომრჩეველი წავიდა და თან არ წაიღო ხმის მიცემის უფლების მოწმობა?

ამხ. გრიშინმა განმარტა, რომ მას შეუძლია მიმართოს აღმასკომს ახალ საცხოვრებელ ადგილზე და სთხოვოს შეტანონ ამომრჩეველთა სიაში.

შეიძლება თუ არა ხმის მიცემის უფლების მოწმობის ფოსტით გაგზავნა?

როგორც წესი, მოწმობას პირადად ამომრჩეველს აძლევენ. ცალკეულ შემთხვევაში, როცა ამომრჩეველმა ვერ შეძლო მისი აღება, მოწმობის გაგზავნა, მისი თხოვნით ფოსტითაც შეიძლება.

როგორ მიიღებენ მონაწილეობას არჩევნებში ჩვენი ქვეყნის შორეული და ძნელადმისაწვდომი რაიონების ამომრჩევლები? ამ საკითხზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიმდინარე წლის 23 მაისს მიიღო სპეციალური დადგენილება. დადგენილებაში ნათქვამია, რომ საუბნო საარჩევნო კომისიებს, როგორც გამოსაკლისი, შეუძლიათ მოაწყონ ბიულეტენების მიღება იქ, სადაც იმყოფებიან ამომრჩეველთა ცალკეული ჯგუფები, რომლებიც არჩევნების დღეს იქნებიან სამეცნიერო ექსპედიციების, გეოლოგიური და საძიებო პარტიების შემადგენლობაში, თუ კი მიმოსვლის პირობების გამო ვერ შეძლებენ საარჩევნო უბანში მისვლას. თუ ამ ამომრჩეველებისათვის შეუძლებელია ბიულეტენების მიწოდება, ისინი დაწესებული ფორმით ადგილებზე უნდა დამზადდეს.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის მუშაკების სსრკ ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ

მედლით „შრომითი მამაცობისათვის“

(გაგრძელება)

კვირიკაძე აიშე ბაირამალის ასული — ქედის რაიონის სოფელ წოხიაოსის კოლმეურნეობის კოლმეურნე.

კვირკველია დურსუნ ხუსეინის-ძე — ქობულეთის რაიონის სოფელ ქაქუთის კოლმეურნეობის ბრიგადირი.

კვეტაძე პეტრე მელენტის-ძე — ბათუმის სავაგონო დეპოს ვაგონების შემოწმებელი.

კეკელიძე რომან ბესარიონის-ძე — ბათუმის სავაჭრო ნავსადგურის ბრიგადირი.

კობახიძე კონდრატე ალექსის-ძე — ბათუმის რაიონის სოფლის მეურნეობის საწარმოო სამმართველოს უფროსი მიწათმოქმედი.

კონცელიძე ირაკლი იუსუფის-ძე — „აჭარამთამრაგების“ ტრესტის მმართველი.

კონცელიძე ისმაილ შერიფის-ძე — ქობულეთის რაიონის 1 მაისის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

კოტრიკაძე მერი ექვთიმეს ასული — ბათუმის მეფრინველეობის ფაბრიკის მუშა.

ლაბაძე ბენია ხასანის-ძე — ხულოს რაიონის კეცხოველის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

ლაზიშვილი ლევან ალექსანდრეს-ძე — საქართველოს კვების მრეწველობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ბათუმის ფილიალის დირექტორი.

ლორთქიფანიძე გრიგოლ ალექსანდრეს-ძე — ბათუმის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის სახალხო განათლების განყოფილების გამგე.

ლორთქიფანიძე ირაკლი ახმედის-ძე — საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს აჭარის სასახლეთო სამმართველოს უფროსი.

მაკარაძე სოლომონ ბუროანის-ძე — აჭარის ასსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე.

მალაზონია ენვერ სეკერიანეს-ძე — ბათუმის გემთსაშენებლო ქარხნის პარტბიუროს მდივანი.

მალაქმაძე თენგიზი ქაზიმის ასული — ბათუმის რაიონის სოფელ ქვედა ჩხუტუნეთის კოლმეურნეობის კოლმეურნე.

მარგველაშვილი ილია იოსების-ძე — აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე.

მარგიშვილი მარიამ პავლეს ასული — ქობულეთის რაიონის ცეცხლაურის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მუშა.

მესხიძე გული მურადის ასული — ქობულეთის რაიონის სოფელ კვიროკეს კოლმეურნეობის კოლმეურნე.

მესხიძე მოთა რამაზის-ძე — საქართველოს აკკ ქობულეთის რაიკომის პირველი მდივანი.

მოკელიძე ავთანდილ ნურის-ძე — შუახევის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე.

მიქელაძე ლეილა ომერის ასული — ბათუმის რაიონის გორკუს სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნე.

მოსიძე თამარ ახმედის ასული — ქედის რაიონის სოფელ ჯალაბაშვილების კოლმეურნეობის კოლმეურნე.

მეკვანაძე შალვა გიორგის-ძე — აჭარის ასსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციათა კავშირის თავმჯდომარე.

მსახურაძე შალვა დემურალის-ძე — შუახევის რაიონი ბარათაულის სასოფლო ამბულატორიის გამგე.

მუმლაძე ლიდია დავითის ასული — ქობულეთის რაიონის კავშირგაბმულობის ჩაქვის განყოფილების ტელეფონისტი.

მუფთიშვილი რამაზ სულეიმანის-ძე — ბათუმის კიროვის სახელობის ტყავის ქარხნის მუშა.

მხეიძე ხაჯერ მამუდის ასული — ბათუმის რაიონის სოფელ მახინჯაურის კოლმეურნეობის კოლმეურნე.

ნაკაიძე ირაკლი აბმედის-ძე — ბათუმის რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის პროორექტორი.

ნიეთარაძე ნიკოლოზ ისმაილის-ძე — ბათუმის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის დირექტორი.

ნიკოლაიშვილი ნინო ივანეს ასული — ბათუმის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს უფროსი.

ნინიძე ნაზიკო ჰარუნის ასული — ქედის რაიონის სოფელ ნამლისევის კოლმეურნეობის კოლმეურნე.

ომაროვა ლუბა მთოს ასული — ბათუმის რაიონის თხილნარის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მუშა.

პაპაშვილი ჯემალ ალის-ძე — ქობულეთის რაიონის სოფელ გვარას კოლმეურნეობის აგრონომი.

